პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ სამშაბათი 13 ივნისი 1978 წ. □ № 138 (17182) □ ფასი 2 კაპ.

ერთიან ოჯახში

ПРАВДА 12 ივნისის მოწინავე

ჩვენი ქვეყნის ხალხები ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ თავიანთი ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, რომელიც მათ ერთიან მისწრაფებებსა და ნებას გამოხატავს. კონსტიტუცია გახდა ღირსშესანიშნავი ეტაპი საბჭოთა საზოგადოების ისტორიაში, ყველა სოციალისტური ერის შემდგომ განვითარებასა და დაახლოებაში.

სსრ კავშირის ძირითადი კანონის შემდეგ ახლა ძალაში შევიდა მისი იდეებისა და პრინციპების სრული შესაბამისობით შემუშავებული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, რომლებმაც ახახეს თითოეული მათგანის თავისებურებანი. ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტების დამტკიცებით მთავრდება დიდი შუაობა მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების კონსტიტუციური გაფორმებისათვის, ჩვენი საერთო-სახალხო მრავალეროვანი სახელმწიფოს კანონმდებლობის მთელი სიხტემის სრულყოფის შექმნისათვის. რესპუბლიკური კონსტიტუციების მიღება თვალსაჩინო მოვლენაა, რომელიც ნიშნავს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას და საბჭოთა ადამიანების უდიდესი ინტერნაციონალიზმის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, პარტიის მიერ დასახული აღმშენებლობითი გეგმების განხორციელებისათვის ერთობლივი ბრძოლა კიდევ უფრო აღუღლებებს სსრ კავშირის ხალხებს. მათი ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება უდიდესი ძალაა, რომელიც აჩქარებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ პროგრესს. ყველა ერისა და ეროვნების თავდადებული მეცადინეობა ცოცხალი შემოქმედების საერთო ნაკადად ერთიანდება. იგი ხორცს ისხამს მეათე ხუთწლედის ბევრ მიღწევაში. ხალხთა ინტერნაციონალური ერთიანობის ეკონომიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას უწყობს ხელს საერთო-საკავშირო პროგრამების შესრულება, რომელთა მიზანია ვრცელი რაიონების გარდაქმნა. ხულ უფრო იფურჩქნება, ხულ უფრო მდიდრდება საბჭოთა კულტურა — შინაარსით სოციალისტური და თავისი ეროვნული ფორმებით მრავალმხრივი.

ეს შესანიშნავი მიღწევები ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საერთო-ეროვნული ხაბჭოთა სიამაყის გრძნობას ბადებს. ისინი სამართლიანად ამაყობენ, რომ თითოეული რესპუბლიკის, ისევე როგორც მოლიანად კავშირის მატერიალური და სულიერი ძალების განვითარებაში ჩაქსოვილია მთელი საბჭოთა ხალხის შრომა და ტალანტი. ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების საერთო ინტერესები და მიზნები, მათი სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთობა ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის ორგანული ნიშანია.

ისტორიული გამოცდილება, რომელიც ხაკანონმდებლო წესით არის დამკვიდრებული სსრ კავშირის კონსტიტუციასა და რესპუბლიკურ კონსტიტუციებში, მთელი სიდიადით გვიჩვენებს ხალხთა ლენინური მეგობრობის — სოციალიზმის ფასდაუდებელი მონაპოვრის, ჩვენი ძალების. კომუნისტური მომავლისაკენ ძლეგამოხილი წინსვლის მძლავრი წყაროს მნიშვნელობას.

როცა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების მომზადებისა და მიღებისათვის მუშაობის შედეგები შეჯამა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ყველა ჩვენი რესპუბლიკის, ყველა ჩვენი ხოციალისტური ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ხწრაფ განვითარებას, თვით. შეიძლება ითქვას, ცხოვრების ხუნთქვას თითოეული ხაბჭოთა ერი მიჰყავს მარტივ დასკვნამდე: მისი შემდგომი განვითარების ხაწინდარია ყველა ხაბჭოთა ადამიანის ძმური თანამშრომლობა, მათი ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრება. მთელი დიადი ხაბჭოთა. ქვეყნის საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფო პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა. ეს გახლავთ ხაბჭოთა ხალხის, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის, ურღვევი ერთიანობის საფუძველი“.

ერთა ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების კანონზომიერი პროცესით არის გამსჭვალული ჩვენი ხაზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო და რგოლი. ეს ნიშნავს სსრ კავშირის ხალხთა ზნეობრივ. ხულიერ ღირებულებათა სულ უფრო ჰარმონიული შეხვედრასა და ურთიერთგავლენას, საერთო-ხაბჭოთა ტრადიციების, ადამიანთა მსოფლმხედველობის. ხასიათის. ქცევის ნიშნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამასთან ეს არის იმ გადმონაშთების განხორციელი დაძლევისა და ამოძირკვის პროცესი, რომლებიც ეწინააღმდეგება თვით სოციალისტური წყობილების ინტერნაციონალისტურ ბუნებას.

ჩვენი პარტია იმით ხიომძლავნელობს, რომ ეროვნული ურთიერთობის განვითარება მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზეც ახალ პრობლემებს აყენებს. ეს პრობლემები მუდამ მისი თვალთახედვის არეშია და წყვეტს მათ მთელი ქვეყნისა და თითოეული რესპუბლიკის, ცალ-ცალკე თითოეული ერის ინტერესებისათვის. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი. რომლებიც ავითარებს და აკონკრეტებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებს. გამსჭვალულია დიდი პატივისცემით ხალხთა ეროვნული თავისებურებებისადმი. პარტია. რომელიც ვერ ურიგდება ვერც ამ თავისებურებათა უგულებელყოფას. ვერც მათ გაზვიადებას. ადაჭრით ილაშქრებს. როგორც დიდმა ლენინმა ჯვანერეძა. „ვიწრო ეროვნული შეზღუდულობის, კარჩაკეტილობის, განერძოებულობის წინააღმდეგ“. ეროვნული ეგოიზმისა და ყოყოჩობის წინააღმდეგ. რომლებიც ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე კუთხურ ტენდენციებში. იმ ადიმში. რომ ხოგჯა შეახსენ პატრიარქალობას. ისტორიული მოვლენების შეფასებისადმი არაკლასობრივ მიდგომაში.

ეროვნულ ცრურწმენათა ყოველგვარი გამოვლინების ლიკვიდაცია შეისაბამება ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ინტერესებს, სსრ კავშირის კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებს. განამტკიცებს ბ ბმვადასბზა რასისა და ეროვნების მოქალაქეთა უფლებების თანასწორობას. იგი აღნიშნავს, რომ კანონით იხსნება მოქალაქეთა უფლებების პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა. რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით უპირატესობების პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაწესება. ისევე როგორც რასობრივი თუ ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა ან უგულებელყოფის ყოველგვარი ქადაგება.

კოშუნისტური მშენებლობისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ინტერესები მოითხოვს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის იდეური დონის შემდგომ ამაღლებას. რესპუბლიკების პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს ასეთი აღზრდის. მხების ინტერნაციონალისტური შეგნების განმტკიცების მდიდარი გამოცდილება. ახინი ბევრ რაშეს აკეთებენ. რათა ყველა ხაბჭოთა ადამიანს განუვითარონ ერთიანი ოჯახის გრძნობები. კეთილშობილური მოსწრაფება თვალსაჩინოვით გაუფრთხილდნენ ხალხთა მეგობრობას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ძირითადი კანონის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების ყოველმხრივ პროპაგანდასა და შეხწავლას, თითოეული ხაბჭოთა ადამიანის იმ კონსტიტუციური მოვალეობის ღრმა ახსნა-განმარტებას, რომ „პატივი სცენ სხვა მოქალაქეთა ეროვნულ ღირსებას. განამტკიცონ ხაბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთა და ეროვნებათა მეგობრობა“.

მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით კოშუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ხაბჭოთა ადამიანები მხურვალე პატრიოტები და მტკიცე ინტერნაციონალისტები არიან, ისინი ძლიერი არიან თავიანთი ერთიანობით, რომელსაც ხაფუძვლად უდევს ყველა ხოციალისტური ერის სრული ნდობა, თანასწორობა და ამხანაგური თანამშრომლობა. ხალხთა ურღვევი მეგობრობა მათი კეთილდღეობისა და ბედნიერების. ჩვენი მრავალეროვანი ხამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საიმედო საწინდარია.

დამკვრელურ წელს — დამკვრელური შრომა!

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე



ამონტაჟებენ მძიმეწონიან როტორს

ენგურჰესის მშენებლობაზე გახშირდა მნიშვნელოვანი მოვლენები. 11 ივნისს ძალოვანი კვანძის საგენერატორო დარბაზში პირველი აგრეგატის კრატერის ყელში სახეიმო ვითარებაში ჩაუშვეს როტორი, რომელიც მის ტალერთან ერთად 410 ტონას იწონის.

ამ მეტად პასუხსაგები და სპეტაკი მოვალეობის შესრულება ძალოვანი კვანძის მშენებლებმა დააკისრეს იმ ბრიგადას, რომელსაც გამოცდილი მემონტაჟე ვიაჩესლავ პეტუხოვი ხელმძღვანელობს. მემონტაჟეებმა აგრეგატის ყველა სამუშაოს დამთავრება ივლისის ბოლოსათვის თავლდებულეს.

გაცხოველებით მიმდინარეობს რიგით მეორე აგრეგატის სტატორისა და როტორის აწყობა-დამონტაჟების სამუშაოები.

ამას წინათ ნოვოსიბირსკის ქარხანაში მძიმე ელექტრომანქანათმაშენებელ ქარხანაში გაემგზავრა ენგურჰესის მშენებელთა დელეგაცია მუშათა ესტაფეტის მისაღებად. აქ ხომ მათთვის მზადდება მესამე აგრეგატი. ქარხნის მუშებს გადაწყვეტილი აქვთ აგრეგატი ენგურჰესის მშენებლებს დროულად — ივლისის ბოლოსათვის მიაწოდონ.

თ. ჰეიშვილი,

„ენგურის ჩირაღდანის“ რედაქტორი.

• • •

სურათზე: მიწისქვეშა ძალურ გესში გენერატორის როტორის ჩადება.

ვ. მორგშნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მინდვრად, შაბათ-კვირაზე!

დავამგადღეთ მეტი ყუათიანი საკვები!



ამ-ამ-ამ-

ახალგაზრდული მარჯვენით

დამრიგებლები — უმცროსი ამხანაგების მხარდამხარ

ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები და ბიჭები აქტიურად ემზადებიან ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალისათვის. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ეს ფორუმი გადაიქცეს ახალგაზრდობის ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის ახალ მძლავრ დემონსტრაციად, განამტიკიცოს ახალგაზრდობის დემოკრატიული მოძრაობის ყველა რაზმის ერთიანობა.

ამბავნად ლ. ი. ბრეჟნევისადმი სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის მისასალმებელი წერილიდან.

ამ დღეებში ჩვენი ახალგაზრდობა მნიშვნელოვანი მოვლენის მოლოდინშია — ორ თვეზე ნაკლები დარჩა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის დაწყებამდე, რომელიც კუბის დედაქალაქ ჰავანაში გაიმართება დევიზით: „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობა-ხალვის, მშვიდობისა და შეგობრობისათვის!“

ამასთან დაკავშირებით 24 ივნისს მოეწყობა საკავშირო კომკავშირულ-ახალგაზრდული შაბათობა, **რომლის დროს გამოშუშავებული თანხა მთლიანად გადაირიცხება ამ ფესტივალის ფონდში.**

მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მსგავსი ფესტივალების ისტორიაში იგი პირველად გაიმართება ევროპის ფარგლებს გარეთ, ლათინური ამერიკის კონტინენტის პირველ სოციალისტურ ქვეყანაში — თავისუფლების კუნძულზე, რაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა საერთაშორისო ახალგაზრდული მოძრაობის ისტორიაში. ამიტომაც გაუსვამ ხაზი ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე ამ ფესტივალისათვის მზადებაში ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და კავშირების აქტიური მონაწილეობის აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

ჩვენი ქვეყნის კომკავშირელებთან და ახალგაზრდებთან ერთად საქართველოს ქალიშვილები და ბიჭუკები კარგად გრძნობენ ამ საქმეში თავიანთ უდიდეს როლსა და პასუხისმგებლობას.

სწორედ ამ მისწრაფების დასტურია, რომ მსგავსი ფესტივალებისათვის მზადების პერიოდში პირველად ტარდება მეორე საკავშირო კომკავშირულ-ახალგაზრდული შაბათობა. პირველ ასეთ შაბათობაში, რომელიც შარშან 25 ივნისს გაიმართა, ჩვენი რესპუბლიკის 250 ათასამდე კომკავშირელმა და ახალგაზრდამ, 250 ათასმა წარმოების ნოვატორმა მიიღეს მონაწილეობა და კარგადაც იშრომეს. ხოლო მეორე შაბათობაში, რომელიც წლეულს 24 ივნისს გაიმართება, წინასწარი მონაცემებით, მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს 800 ათასამდე ქალიშვილი და ბიჭუკი, 400 ათასზე მეტი ახალგაზრდობის დამრიგებელი და წარმოების მოწინავე.

შაბათობას მონაწილეონი 24 ივნისს ძირითადად თავიანთ სამუშაო ადგილებზე იშრომებენ, შეასრულებენ აგრეთვე სხვა სამუშაოებსაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შაბათობას აქვს კიდევ ერთი კონკრეტული მიზანი: საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდები, რომლებიც ერთსულოვნად დაარაზმნენ რესპუბლიკის სოფლის მშრომელებისადმი, მუშებისადმი, ინტელიგენციისადმი, ახალგაზრდობისადმი, ყველა კომუნისტისა და კომკავშირელისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი წერილის მოთხოვნათა შესასრულებლად და რომლებმაც თავიანთ ღვიძლ საქმედ აღიქვეს „1978 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების და 1978-1979 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების წარმატებით განხორციელების საქმე, ამ დღეს განსაკუთრებული მონდომებით იშრომებენ აგრეთვე ხოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში უამინანდადი გამოწვეული ჩამორჩენის დასაძლევად.

შაბათობის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ისევე როგორც შარშან, წელსაც **შექმნილია შაბათობის ხელმძღვანელობის რესპუბლიკური შტაბი,** რომელსაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შარტავა ხელმძღვანელობს. ასეთივე შტაბები არსებობს აგრეთვე საქართველოს კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან.

შაბათობის ხელმძღვანელობის რესპუბლიკური შტაბი, რომელსაც აქვს ამ ღონისძიების ჩატარების შარშანდელი დადებითი გამოცდილება, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შაბათობა ჩატარდეს მაღალ პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და იდეურ-აღმზრდელობით დონეზე, რომ იგი არა მარტო რესპუბლიკის ახალგაზრდობის ნათელი შრომის ზეიმი, არამედ საერთო-სახალხო შრომის დღესასწაული იყოს.

ახლახან წარმოების ახალგაზრდა მოწინავეებმა, სრულიად ხაკავშირო ალკკ XVIII ყრილობისა და საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატთა ერთმა ჯგუფმა მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ბიჭუკებს შაბათობის დღეს უმაღლესი ნაყოფიერებით აშრომონ, გამომუშავების ორმაგი ნორმა შეასრულონ და, ამასთანავე, აამაღლონ პროდუქციის ხარისხი, დაზოგონ ნედლეული და მატერიალური რესურსები.

როგორც ყოველთვის, თავიანთ უმცროს ამხანაგებს ამჟამადაც ამოუდგნენ მხარში რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, ვეტერანი კომკავშირელები, ახალგაზრდობის სახელოვანი დამრიგებლები. სახელგანთქმულმა მშრომელებმა, სოციალისტურ შრომის გმირებმა ა. ძამაშვილმა, ბ. ფაშაკიძემ, ვ. ბოროდავკამ, მ. მიქელაძემ, გ. კუტანიძემ, ე. არველაძემ, ჟ. პანოიანმა, გ. ობოლაძემ და სხვებმა მოეწოდეს რესპუბლიკის ყველა მშრომელს მხარი დაუჭირონ ლენინური კომკავშირის შრომითს დღესასწაულს, 24 ივნისს გამოიდგნენ კომკავშირულ-ახალგაზრდულ შაბათობაზე, იშრომონ ახალგაზრდობის მხარდამხარ და გამომუშავებული თანხა ამ ფესტივალის ფონდში გადარიცხონ.

ახლა, შაბათობისათვის მზადების პერიოდში, რესპუბლიკის კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივები ბევრ შესანიშნავ თაოსნობას იჩენენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი ნორჩი თაობის, რუსთავის პიონერული ორგანიზაციის წევრთა თაოსნობა, რომლებმაც დეკანოზი — „XI ფესტივალს — პიონერული ზრუნვა“, შეაგროვეს 250 ტონა ჯართი. სწორედ ამ ჯართიდან სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობისა და საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატის ზ. ძნელაძის ბრიგადამ გადაწყვიტა ჩქარობენლი მეთოდით გამოუშვას 200 ტონა მაღალხარისხოვანი ნაფნობი.

მაშ ასე, შაბათობისათვის მზადება გაჩაღდა. რესპუბლიკური შტაბი კომკავშირის კომიტეტებთან, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს, რომ შაბათობა კომუნისტური შრომის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცეს.

რ. რუსია.

ბამის მუშაობისაგან

შრომითი გმირობის მაგისტრალი

ვერტმფრინავები ტრასაზე

„მი-8“ ვერტმფრინავებს სასწრაფო ტვირთი მიაქვთ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ტრასის ჩრდილოეთ მუხის გვირაბის დასავლეთ და აღმოსავლეთ პორტალებთან.

აღმოსავლეთ ცამბარის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ვერტმფრინავების პილოტებმა ბაბის პირველი რეისი 1974 წლის 2 მაისს შეასრულეს. უსტ-კუტიდან ტაიერში ჩაიყვანეს მშენებლები. ახლა ფოლადის ლაბადები უკვე ულანამდე გადაიშუმა. ბამის დასავლეთი უბნის მშენებლობის დაწყებიდან ვერტმფრინავებით გადაყვანილია 83 ათასზე მეტი მგზავრი, ტვირთზე ჩატანილია თითქმის 22 ათასი ტონა ტვირთი. ახლა ძირითადი რეისები ეწყობა ბურიატეთის ასს რესპუბლიკასა და ჩიტის ოლქში.

ყველა კომკავშირულ-ახალგაზრდული ეკიპაჟი ჩაშუშულია შეჯიბრებაში მაგისტრალის მშენებელთა საუკეთესო მომსახურებისათვის, მათ მიეკვნა წითელზოლიანი სპეციალური საგზურები და ფრენის დავალებები, რომლებზეც წერია: „პირველ რიგში, სასწრაფოა“. ვერტმფრინავის პილოტები პროფესიული ოსტატობის, სახრიანობის, ეაკკაკობის, დისციპლინის მაგალითს გვიჩვენებენ. ჩრდილოეთ მუხის გვირაბის აღმოსავლეთ პორტალისაკენ რეგულარულად დაფრინავს „მი-8“ ვერტმფრინავის მეთაური ლ. მუხინი — ტრასის ვეტერანი. მან ჩაიყვანა გეოლოგები ნიეფანგარსკ-მუის მთის ტაიგის რაიონში, შორეულ ჩარაში გადაიყვანა ლენინგრადელი მშენებლები. ამ ცოტა ხნის წინათ ვერტმფრინავის მეთაური III ხარისხის შრომითი დიდების ორდენით დაჯილდოდა.

ა. ბაიდაკი, საკადრესო კორ.
ირკუტსკი.

მაგისტრალის ისტორია

ბამის მშენებლობის ისტორიის მუზეუმი რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტროსა და სრულიად რუსეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მედლითა და დიპლომით დაჯილდოდა. მუზეუმის კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს მშენებელთა კომუნისტურ აღზრდაში, პროპაგანდას უწევს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების შესახებ.

მუზეუმის ცენტრალური განყოფილება ეძღვნება ცამბარისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრას მაგისტრალის მშენებლებთან. ექსპოზიციაში წარმოდგენილია იმათი კომკავშირული საგზურები, ვინც 1974 წლის აპრილში პირდაპირ სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობიდან ჩაეგზავნა მშენებლობაზე. ლამაზად გაფორმებული სტენდები გვიამბობს, თუ როგორ დაგეგს ბამის სადგურთან „ვერცხლის“ რგოლი, როგორ ჩაიდგა პირველი მატარებელი ტინდაში.

ბამის მატიანეში ახალ-ახალი სახელოვანი ფურცლები იწერება.

ა. კრივჩენკო, საკადრესო კორ.
ტინდა, ამურის ოლქი.

მატარებლები ბერკაკიტში

ტინდა-ბერკაკიტის ტრასაზე მატარებლების სამუშაო მოძრაობის გახსნის დღიდან საბოლოო სადგურში სამი ათასი ვაგონი დაიცალა.

იაკუტეთის ნაგორნის, ზოლოტინკისა და ბერკაკიტის სადგურები მცირე ბამით წლის დამდეგიდან მილიონ ტონაზე მეტი ტვირთია ჩატანილი. ამდენი ტვირთი აკუმამანქანებით რომ გადაეტანათ, გაცილებით მეტხანს მოუნდებოდნენ.

ეს დასაწყისია. მოდმიე ექსპლოატაციისათვის რკინიგზა წლის ბოლოს გადაეცემა: ბერკაკიტამდე შემადგენლობები ჯერ ნახევარი დატვირთვით ივლიან დროებითი შემოვლითი გზით. მაგრამ აგვისტოში გაიხსნება მატარებლების სამუშაო მოძრაობა ნიგორნის გვირაბში და შემადგენლობები სრული დატვირთვით ივლიან.

რკინიგზის გახსნის შედეგად გაძლიერდა სამშენებლო სამუშაოთა ტემპი სამხრეთ იაკუტიის ტერიტორიულ-საწარმოო კომბინატის უმნიშვნელოვანეს ობიექტებში. ბოლო იქ, სადაც სულ ორი წლის წინათ უკაცრიელი ტაიგა იყო, ბერკაკიტისა და ზოლოტინკის რკინიგზელთა ოთხ-ხუთსართულიანი სახლები აღიმართა.

ლ. ბუბიაკინი, საკადრესო კორ.
ბერკაკიტი, იაკუტიის ასსრ.

დაბა ტაიგაში

„ბაბაროვსკ-ტრანსმშენებამის“ სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ოცდაათმა ახალგაზრდა მუშამ, რომლებიც სულ ესაგურს აშენებენ, ახალმოსახლეობა გადაიხადა საერთო საცხოვრებელში. ამ ახალ შენობაში არის მყუდრო ოთახები ერთი-ორი კაცისათვის, ვრცელი ჰოლები, წითელი კუთხე. საერთო თბოიზოლაციის მეოხებით სახლს 60-გრადუსიანი ყინვაც კი ვერაფერს დაავლებს.

პირველი რაზმის ჩამოსვლიდან ცხრა თვის მანძილზე ტაიგაში კეთილმოწყობილი დაბა გაჩნდა. მთავარ ქუჩაზე აღიმართა საერთო საცხოვრებლის, პოლიკლინიკის. კაფე-სასადილოს შენობები. მთავრდება სამაგვიარ ბაღის, სკოლის, მაღაზიის მოპირკეთება, ახლა მშენებლები აგებენ სამ პირველ სახლს, სადაც სადგურ სულუკის რკინიგზელები იცხოვრებენ.

ვ. ვასილიევი, საკადრესო კორ.
სულუკი, ბამის აღმოსავლეთი უბანი.

ყინულის ველების გვერდის ავლით

ჩრდილოეთ ბაიკალზე გემების პირველი ქარავანი ერცელ ყინულის ველებში წარმატებით გაატარა მშრალტვირთიანი ხომალდის „კლარა ცეტკინის“ კაპიტანმა ა. ლანბინმა.

აქ, ბურიატეთის ჩრდილოეთში, შენდება ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე რთული მონაკვეთი. მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე მემდინარეები მშენებლთა საუკეთესო თანაშემწენი გახდნენ. ნიჟნეანგარსკისა და კურლის კოხცხის ნავსადგურებში, სადაც ქალაქი სევერობაიკალსკი შენდება, მიიღებენ 200 ათას ტონაზე მეტ ტვირთს. ეს გაცილებით მეტია შარშანდელთან შედარებით. ბაიკალელ მემდინარეებს გაუჩნდათ კიდევ ერთი ადრესატი — სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის სახელობის საკავშირო დამკვრელური კომკავშირული რაზმი, რომელიც მდინარე კიჩერის ნაპირზე ამავე სახელწოდების რკინიგზის სადგურის მშენებლობას შეუდგა.

დ. სანჟიევი, საკადრესო კორ.
ნიჟნეანგარსკი, ბურიატეთის ასსრ.

მცირე ბამის მშენებლობაზე

ამურის ოლქი. ბორის გოლომოლზინის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ მნიშვნელოვნად გაუსწრო საწარმოო გრაფიკს და გეგმის გადამეტებით ათი კილომეტრი რელსი აიწყო ბარკაკიტიდან უგოლნაიას სადგურამდე რკინიგზის მშენებლობის უბანზე.

სურათზე: ბრიგადირი ბორის გოლომოლზინი(მარცხნივ) და ლიანდაგის მონტიორი ალექსანდრე ერშოვი.

ბ. პალაჩიანის ფოტო. (საკადრესო ფოტოქრონიკა).



ვაჭრობა და მომხმარებელი

1. ავი შემნახავიო...

რატომ გაქრა თევზიანი ხაჩვი მაღაზიიდან

□

ვმუშაობთ ზლობინისეგურად

შარშანდელთან შედარებით 40 ბრიგადით გაიზარდა რესპუბლიკაში ნ. ზლობინის მეთოდით მომუშავე სამშენებლო კოლექტივების რაოდენობა. წლის დამდეგიდან მათ შეასრულეს 88 მილიონ მანეთისაზე მეტი თანხის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო, რაც 21 მილიონი მანეთით აღემატება მეათე ხუთწლედის პირველ წელს მიღწეულ დონეს.

რესპუბლიკის მშენებლობებზე სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ბრიგადული იჯარის მეთოდი, რომლის თაოსანია ჩვენს ქვეყანაში მოსკოვის ოლქის წარჩინებული მშენებელი. გეერთიანება „თბილქალაქმშენის“ № 14 ტრესტის ბაზაზე უკვე მეორე წელია არსებობს მუშაობის ზლობინისეული მეთოდის შემსწავლელი მუდმივმქმედი სკოლა. აქ წარმოების მოწყვეტით მეცადინეობენ მუშები, ბრიგადირები, ოსტატები, ინჟინრები.

ბრიგადული იჯარის მეთოდის ყველგან დანერგვას ხელს უწყობს კონკურსები საუკეთესო კოლექტივების წოდებისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, მშენებლობისა და სამრეწველო ნაგები მასალების მუშათა რეს პუბლიკურ კომიტეტებს ავალებს უზრუველყონ ბრიგადული იჯარის მასობრივი დანერგვა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-80 წლების ძირითადი მიმართულებების“ მოთხოვნათა შესაბამისად. (საქინფორმი).

სავაჭრო ფირმა — საამქროში

თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟში“ გაიმართა ვაჭრობის მუშაკის მორიგი დღე. საამქროებში საცალო ვაჭრობის ფირმის „ბავშვთა სამყაროს“ გამყიდველები, საქონელმცოდნეები, ხელმძღვანელები მეტრიკოტაჟეების სტუმრებად „ეკ არა, კოლეგებად მოვიდნენ.

მრეწველობისა და ვაჭრობის უმუალო კავშირი, რომელსაც აქვს სამი თვის სტაჟი, განმტკიცებულია სოციალისტური ხელშეკრულებით. მის შესასრულებლად საავჭრო ფირმამ მეთაური მაღაზიაში სპეციალური განყოფილება გახსნა ფაბრიკის მიერ გამოშვებული საქონლის გასაყიდად. თანაბარ მხრივ მეტრიკოტაჟეებიც მუდამ ითვალისწინებენ მყიდველთა მოთხოვნებს.

საავჭრო ორგანიზაციის მუშაკები საწარმოს მუშაკებს სისტემატურად აცნობენ ვაჭრობის კონიუნქტურას, რომელიც ბამბეულის ტრიკოტაჟზე მოთხოვნის გაღიდებას მოწმობს.

მოთხოვნა აისახა ფაბრიკის საწარმოო პროგრამაში: ფირმის დაკვეთით ათვისებულია ტრიკოტაჟის 12 ახალი მოდელი.

რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ მოიწონა „ვაჭრობის მუშაკის დღის“ მოწყობა, როგორც მრეწველობასთან ვაჭრობის პირდაპირი კავშირის ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმა. ხუთმა სხვა უდიდესმა საავჭრო ორგანიზაციამ თანამეგობრობის ხელშეკრულებები დადო რესპუბლიკის 37 სამრეწველო საწარმოსთან. (საქინფორმი).

აქ აიგება ლენინის ძეგლი

ქუთაისი, (საქინფორმის კორ.). **ხაქალაქო აღმასკომის შენობის წინ მდებარე სკვერში ხაზეიმო ვითარებაში საძირკველი ჩაეყარა მხოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის, მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ძეგლს.**

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგზე გამოვიდნენ ხაბჭოთა კავშირის გმირი ი. დუალი, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების დირექტორი მ. ჩიხლაძე, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ო. ჯაშაკიძე, პარტიის ვეტერანი ვ. ტყაბლაძე და სხვები.

ნ. ლენინის ორდენოსანი.

□

ზერილი მიღებისთანავე საქალაქოში გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად იყო ზუგდიდის რაიკოსკავშირის ვაჭრობის განყოფილების გამგე გ. ჩქვანავა, ზედა ეზრის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი შ. ჩუხუა, რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ პარტიული კომიტეტის მდივანი ხ. ალანდია. ფართო მოხმარების საქონლის მაღაზია ლია დაგვხვდა. თეთრხალათიანი გამყიდველი თ. ოაქავა უკმაყოფილო მომხმარებლებს იცამთეგოდა. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, მომხმარებლები მაღაზიაში შემოდიოდნენ, მაგრამ ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ. ეხვეს რომ თავი დავანებოთ, ამ დღეს მაღაზიაში პურიც კი არ იყიდებოდა.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არ იყო პური, გამყიდველმა გვითხრა: გუშინ ღღის ბოლოს პური მიგიღე, 50 კილოგრამის მეტი არ დამიტოვებია, რადგან მეგონა არ გაიყიდებოდაო. დღეისათვის 100 კილოგრამის განაცხადი მივეცი, მაგრამ დღის 2 საათზე არც პური და არც ამბის მომტანი არა ჩანს...

მაღაზიაში სასურსათო საქონლის დიდი სიღარიბეა, კარაქი, ძეხვეული, რძის ნაწარმი, ბურღულეული, პურის ფქვილი, საკონდიტრო ნაწარმი (გარდა ერთი სახეობისა) არ იყო. სათავსში მარილი, შაქარი, კომპოტები, საპონი და სხვა საქონელი უწესრიგოდ ეყარა იატაკზე. ტომრებში ჩაყრილი 280 კილოგრამი ხახვი ერთ კუთხეში იყო მიგდებული. გამყიდველმა განაცხადა: არ მაწერია, რადგანაც სარეალიზაციოდ უვარგისია და კომისიის დასკვნა არის საჭიროო.

საქაღალდეში ფართო მოხმარების მაღაზია 25 წლის წინათ აუშენებია რუხის კოლმეურნეობას. ახლა ეს მაღაზია ვეღარ აკმაყოფილებს მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. იგი შარშან აპრილში კოლმეურნეობას გაურმონტაჟია, მაგრამ სამუშაოები უხარისხოდ შეასრულებიათ (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. თოდუა, მშენებელი ინჟინერი ბ. როგავა). მაგალითად, შენობის შელესვის შემდეგ მის შეთეთრებაზე არავის უზრუნია.

ამ მაღაზიაში ზედა ეზრის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობას ვესტუმრეთ. აქ გამოირკვა, რომ საქაღალდის მაღაზიაში გამგე-გამყიდველის ა. ოაქავას მეუღლე ეაჭრობდა, ხოლო თვითონ, როგორც გვითხრეს, საქონლის მოსატანად იყო წასული.

გამოვიკითხეთ, თუ რა სახეობის სურსათი მიაწოდეს მომხმარებელს მაღაზიის გახსნის დღიდან: პირველ დღეს — ლუდი, მეორე დღეს — არაფერი, მომდევნო 7 დღეში — მარტო პური, შემდეგ ლიმონათი, მეათე დღეს — პური, მარილი, საპონი, ნამცხვარი და სიგარეტი „პრიმა“, მეთერთმეტე დღეს კი პური და ნავთი. გარდა პურისა, სხვა სურსათის შემოზიდვა გამგე-გამყიდველს უხდება, რაც ვაჭრობის შეფერხებას იწვევს — ხშირად დაკეტილია მაღაზია.

ხაქაღალდის უბანში 89 კომლი ცხოვრობს. შარშან აქაურმა კოლმეურნეებმა მოკრიფეს და მრეწველობას გადასამუშავებლად 116 ტონის ნაცვლად 186 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარეს. ისიც აღსანიშნავია, რომ მოკრეფილი ფოთლის პირველმა ხარისხმა 80 პროცენტს გადააჭარბა, ჩაის, სიმინდის, ტუნგის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებით საქაღალდის უბანმა კოლმეურნეობის საერთოს 85.227 მანეთის ნაცვლად 99 ათას 64 მანეთის შემატა. ეს მონაცემები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ასეთ გმირეკ მშრომელებს ვაჭრობის მუშაკები ხათნაოდ ვერ ეხმაურებიან. ეს უპირველესად ზედა ეზრის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის (თავმჯდომარე ი. ჯანანია) მისამართით ითქმის.

ამას ისიც ემატება, რომ ამ სოფლის ხათოდეოს უბანში, სადაც 150-ზე მეტი კომლი ცხოვრობს, მაღაზია არ მუშაობდა, რადგან სანეგიდსადგურის მუშაკებმა უვარგისობის გამო დალუქეს. სამწუხაროდ, ახალი პავილიონის დადგმაზე, რომელიც უკვე მიღებულია, თავს არავინ იწუხებს, საფარეკანოის უბანში ძველ მაღაზიას კაპიტალური რემონტი ხჭირდება, მაგრამ ვინღაა გამკითხავი. სანეგიდის უბნის სასადილოში პატარა ოთახი გამოყვეს სურსათის გასაყიდად. მაგრამ აქ ნორმალური მუშაობა შეუძლებელია, როგორც იტყვიან, თავგვი კუდს ვერ მოიქნევს, ისეთი ხვეწროვანი.

რუხის კოლმეურნეობა, რომელიც ცნობილია თავისი გამრჯე ადამიანებით, შემოსავლით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საავჭრო და სხვა დაწესებულებებით, ნამდვილად რომ არ ზრუნავს შორეულ უბნებში ძველი და უვარგისი მაღაზიების შენობების ახლით შეცვლისათვის. როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. გიხარიამ გვითხრა, ამ საჭირო საქმისათვის არც ზედა ეზრის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობა იწუხებს თავსო.

პერით მომარაგების შეფერხებებს ელექტროენერგიის გაუვანილობის უწესივრობა იწვევსო, გვითხრა ზუგდიდის რაიპურკომბინატის დირექტორმა შ. ჩილაჩავამ. ქარსა და წვიმაში დენი ხშირად ირთვება, ღუმელები ვერ მუშაობენ და პურის ცომიც ხარისხს კარგავსო. წელს მარტში 4-5 ღღით პურის 6 საცხობი ელექტროენერგიის გამრთვის გამო არ მუშაობდა, ამავე მიზეზით აპრილში რამდენიმე ღღეს ონარის პურის საცხობი არ მუშაობდა. გარდა ელექტროენერგიის გამორთვისა ხშირად ხავაჭრო ობიექტებისათვის პურის მიწოდების გრაფიკის დარღვევა ცეკავშირის ხუგდიდის ავტოპარკის მანქანების სიძველისა და გაუმართაობის ბრალია. ყოველივე ეს ხელს უშლის მოსახლეობის გამომცხვარი პურით დროულად მომარაგების საქმეს.

ამას წინათ ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესიამ განიხილა საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის დადგენილების მიხედვით რაიონის მოსახლეობის საავჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, სესიაზე მკაცრად გააკრიტიკეს რაიკოოპკავშირის მუშაკები. აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არის ქსელში ფასდამახინჯების, მომხმარებელთა ზომაწონაში მოტყუების, საავჭრო ობიექტებისათვის ხაქონლის ფონდების არათანაბარზომიერი განაწილებისა და სხვა დარღვევების ფაქტები.

ცხადია, ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა მუშაობის იმდაგვარად გარდაქმნა, რომ მკვეთრად ავამაღლოთ მოსახლეობის საავჭრო მომსახურეობა, შევუქმნათ მას ნორმალური ცხოვრებისა და შრომის პირობები.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

2. ეწერში ერთი მაღაზიაა...

„ძვირფასო რედაქციავ! ამ პატარა წერილით გვინდა გაცნობოთ ჩვენი გასაჭირი. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საკავშირო უბანში არსებული ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის მაღაზია თვენახევარზე მეტია დაკეტილია, რის გამო უბნის მშრომელებს 4-5 კილომეტრი მანძილიდან უხდებათ პურის, შაქრის, მარილის, საპნის, ასანთის მოტანა. გვეკარგება ძვირფასი დრო, გვიცდება სამუშაო საათები. მაგრამ ეს არ ადარდებს ზედა ეწრის მომხმარებელთა საზოგადოებას, რომელსაც მაღაზია ეკუთვნის. დღეს, როცა მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას ახეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მშრომელთა ხამართლიანი მოთხოვნის უყურადღებოდ დატოვება არავის ეპატიება. გთხოვთ დახმარებას.

თ. ჭკადუა,
ლენინის ორდენოსანი.

□

ეწერილი მიღებისთანავე საქაღალდეში გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად იყო ზუგდიდის რაიკოოპკავშირის ვაჭრობის განყოფილების გამგე გ. ჩქვანავა, ზედა ეწრის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი შ. ჩუხუა, რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ პარტიული კომიტეტის მდივანი ხ. ალანდია. ფართო მოხმარების საქონლის მაღაზია ლია დაგვხვდა. თეთრხალათიანი გამყიდველი თ. ოაქავა უკმაყოფილო მომხმარებლებს იცამთეგოდა. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, მომხმარებლები მაღაზიაში შემოდიოდნენ, მაგრამ ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ. ეხვეს რომ თავი დავანებოთ, ამ დღეს მაღაზიაში პურიც კი არ იყიდებოდა.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არ იყო პური, გამყიდველმა გვითხრა: გუშინ ღღის ბოლოს პური მიგიღე, 50 კილოგრამის მეტი არ დამიტოვებია, რადგან მეგონა არ გაიყიდებოდაო. დღეისათვის 100 კილოგრამის განაცხადი მივეცი, მაგრამ დღის 2 საათზე არც პური და არც ამბის მომტანი არა ჩანს...

მაღაზიაში სასურსათო საქონლის დიდი სიღარიბეა, კარაქი, ძეხვეული, რძის ნაწარმი, ბურღულეული, პურის ფქვილი, საკონდიტრო ნაწარმი (გარდა ერთი სახეობისა) არ იყო. სათავსში მარილი, შაქარი, კომპოტები, საპონი და სხვა საქონელი უწესრიგოდ ეყარა იატაკზე. ტომრებში ჩაყრილი 280 კილოგრამი ხახვი ერთ კუთხეში იყო მიგდებული. გამყიდველმა განაცხადა: არ მაწერია, რადგანაც სარეალიზაციოდ უვარგისია და კომისიის

წერილი კომენტარით

2. ეწერში ერთი მაღაზიაა...

„ძვირფასო რედაქციავ! ამ პატარა წერილით გვინდა გაცნობოთ ჩვენი გასაჭირი. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საკავშირო უბანში არსებული ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის მაღაზია თვენახევარზე მეტია დაკეტილია, რის გამო უბნის მშრომელებს 4-5 კილომეტრი მანძილიდან უხდებათ პურის, შაქრის, მარილის, საპნის, ასანთის მოტანა. გვეკარგება ძვირფასი დრო, გვიცდება სამუშაო საათები. მაგრამ ეს არ ადარდებს ზედა ეწრის მომხმარებელთა საზოგადოებას, რომელსაც მაღაზია ეკუთვნის. დღეს, როცა მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას ახეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მშრომელთა ხამართლიანი მოთხოვნის უყურადღებოდ დატოვება არავის ეპატიება. გთხოვთ დახმარებას.

თ. ჭკადუა,
ლენინის ორდენოსანი.

□

ეწერილი მიღებისთანავე საქაღალდეში გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად იყო ზუგდიდის რაიკოოპკავშირის ვაჭრობის განყოფილების გამგე გ. ჩქვანავა, ზედა ეწრის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი შ. ჩუხუა, რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ პარტიული

თეორიის საკითხები

პიროვნების თავისუფლება განვითარებული სოციალიზმის დროს

თანამედროვე პირობებში, როდესაც მკვეთრად არის გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, პიროვნების თავისუფლების საკითხს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. უკანასკნელ ხანს ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ უჩვეულო ხმაური ატეხა ამ საკითხის გარშემო.

იმპერიალიზმის აპოლოგეტები სიტყვამტარად აცრცელებენ მონაკვრებს, თითქოს სოციალიზმის დროს პიროვნება დათრგუნვილი, ხოლო ადამიანის თავისუფლებები და უფლებები დარღვეულია. ეს პროვოკაციულ-დემაგოგიური „კ-მპანია განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის მიღების შემდეგ.

სოციალიზმის მაგალითისა და იდეალების მომზიდველი ძალით ლაშინებული ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ დასავლეთის საყოველთაო თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების ჭეშმარიტ დამცველად გამოაცხადონ.

საკითხავია რა მიზანს ისახავს ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგების „ბრძოლა თავისუფლებისათვის", პიროვნების „უფლებების დაცვისათვის"? ამკამად რა კლასობრივ შინაარსს გულისხმობს ბურჟუაზიის მიერ დემოკრატიის დამოწმება, რომელსაც ეი ყოველთვის მიმართავდა?

ბურჟუაზიული იდეოლოგების „ბრძოლა თავისუფლებისათვის" და „ადამიანის უფლებებისათვის" სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ზრუნვა ბურჟუაზიის ძირეული ინტერესების დასაცავად, შრომელთა ექსპლოატაციის გასამართლებლად. ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ ბურჟუაზია მოითხოვს... „მხოლოდ ამინ ქადაგების თავისუფლებას, რომ ქადაგებაც ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია."

კაპიტალიზმის დროს არსებობს მხოლოდ ბურჟუაზიული, პრივილეგიერებული „ელიტის" თავისუფლება. შრომელებისათვის, მატერიალური დოვლათის შემოქმედთათვის, კაპიტალის ბატონობის პირობებში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი თავისუფლება. „საზოგადოებაში, სადაც შრომელთა ძალები გაღატაკებული არიან და ერთი მუჭა მდიდრები მუქთახორობენ, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი „თავისუფლება", — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი.

პიროვნების თავისუფლება, ინდივიდუალური თავისუფლება განისაზღვრება საზოგადოებრივი თავისუფლების მოპოვებული დონით, ამით, თუ რამდენად ბატონობს საზოგადოება საკუთარი თავისა და გარემომცველი სამყაროს კანონზომიერებებზე. პიროვნება თავისუფალია მაშინ, როდესაც თავისი მოქმედების ხელს უწყობს საზოგადოებისა და ბუნების ძალებს შეგნებულ გამოყენებას და დამორჩილებას. საზოგადოებრივი მასშტაბით ეს შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის დროს, ვინაიდან აქ შრომელთა ინტერესები ემთხვევა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე, კომუნიზმზე გადასვლის ისტორიული გარდუვალობის განხორციელებას. მხოლოდ სოციალისტურმა საზოგადოებამ უზრუნველყო ხალხის, პიროვნების ნამდვილი თავისუფლება, ვინაიდან აქ თვით ხალხია თავისი ბედის ბატონ-პატრონი.

სოციალური პროგრესის ობიექტური მოთხოვნების შესაბამისად სოციალიზმმა მოსპო კერძო საკუთრება, დაამკვიდრა საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე, რის შედეგადაც მშრომელ ადამიანს შეუქმნა თავისუფლების მტკიცე ეკონომიკური საფუძველი, გაიყვანა ის ყოველმხრივი განვითარების ფართო გზაზე. ჭეშმარიტი თავისუფლება სწორედ შრომის განთავისუფლებით დაიწყო. მშრომელი ხალხის მიერ წარმოების სფეროში მოპოვებული თავისუფლება, შრომის თავისუფლება. მშრომელებისათვის, მატერიალური დოვლათის შემოქმედთათვის, კაპიტალის ბატონობის პირობებში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი თავისუფლება. „საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა ძალები გაღატაკებული არიან და ერთი მუჭა მდიდრები მუქთახორობენ, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი „თავისუფლება", — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი.

**პიროვნების თავისუფლება, ინდივიდუალური თავისუფლება განისაზღვრება საზოგადოებრივი თავისუფლების მოპოვებული დონით, ამით, თუ რამდენად ბატონობს საზოგადოება საკუთარი თავისა და გარემომცველი სამყაროს კანონზომიერებებზე. პიროვნება თავისუფალია მაშინ, როდესაც თავისი მოქმედების ხელს უწყობს საზოგადოებისა და ბუნების ძალებს შეგნებულ გამოყენებას და დამორჩილებას. საზოგადოებრივი მასშტაბით ეს შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის დროს, ვინაიდან აქ მშ

საქართველოს შუა-ბჭეზე

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველმა წერილი გამოგზავნა

შეხვედრა მუშსოფლკორებთან

ამას წინათ პარტიის ამბრძოლიორის რაიკომმა და რაიონული გაზეთის „კომუნიზმის დროშის“ რედაქციამ მოაწყვეს ქედლის გაზეთების რედაქტორებისა და მუშსოფლკორთა თათბირი. მომხსენებლები დამსწრეთ ესაუბრნენ თემებზე: „ძირეული პრესის სადღეისო ამოცანები“, „მუშა და სოფლის კორესპონდენტი — გაზეთის თანაშემწე და საიმედო დასაყრდენი“ და „სოფლის მეურნეობისა და პარტიული ცხოვრების საკითხები გაზეთში“.

დასასრულ ქედლის გაზეთების რედაქტორებმა და მუშსოფლკორებმა რაიონული გაზეთის მუშაკებს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს და საქმიანი წინადადებები შესთავაზეს.

აპ. კერესელიძე.

შინმოუსვლელთა ობელისკი

აბაშა. ქოლობნელმა მშრომელებმა ახლახან სოფლის 118 სახელოვანი შინმოუსვლელი ომეკაცის ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართეს ობელისკი. სამშობლოს დამცველთა ხსოვნის ობელისკი საზეიმო ვითარებაშა გაიხსნა.

იმ დღეს დიდი თუ პატარა მოწწებით თაყვანს სცემდა გმირებს და თაიგულებით ამკობდა ობელისკს.

ჯ. ჩაგანავა.

ზეპირი ჟურნალი

თელავი. რაიონის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ნ. სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სკოლასთან ერთად მოაწყო ზეპირი ჟურნალი თემაზე — „ჩვენი ქალაქის მუსიკალური ცხოვრება“.

ზეპირ ჟურნალში მონაწილეობდნენ სამუსიკო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, რაიონული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლები და რაიონის ახალგაზრდობა.

მ. ჟიჟიაშვილი.

მშრომელთა სასახლეში

ქობულეთი. ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობამ გადაწყვიტა საკუთარი სახსრებით მდინარე ინჩხმურზე ხიდი აეშენებინა. ამ წამოწყებას მშრომელებმა მხარი აუბეს. ახლა მდინარეზე კაპიტალური ხიდია აგებული. ცეცხლაურისა და ჯიხანჯურის მეურნეობები მოკლე გზით რაიონულ ცენტრს უკავშირდებიან.

გ. ჩხაიძე.

სიღრმე და ოსტატობა

რესპუბლიკის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძის შემოქმედება კარგად არის ცნობილი ჩვენთან. რესპუბლიკამ და მის გარეთ კომპოზიტორის კალამს ეკუთვნის ოპერები „ნანა“ და „ჩვენ — მსოფლიოს დედები“. ბალეტები „ჰამლეტი“ და „მედეა“. ოპერები „ვეფხისტყაოსანი“. ოთხი კამერული სიმფონია, ვოკალური სიმფონია „ფიქრნი მტკვრის პირას“, სიმფონიური პოემები „გამბრდელი“ და „სამი მონოლოგი ლენინზე“, ინსტრუმენტული კონცერტები, სიმფონიანი კვარტეტები. კამერულ-ინსტრუმენტული და ვოკალური ნაწარმოებები, მუსიკა კინოსა და დრამატული სპექტაკლებისათვის.

რ. გაბიჩვაძის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია სტილისტური მთლიანობა, ემოციურობა, სიღრმე და მაღალი პროფესიონალიზმი. მისი მუსიკა ხატოვანი, თანამედროვედ ელერადია. წლების მანძილზე კომპოზიტორმა მოწინავე საბჭოთა და თანამედროვე მსოფლიო მუსიკის მიღწევებზე დაყრდნობით გამოიმუშავა საკუთარი წერის მანერა, სადაც ძალუმად იგრძნობა კავ-



სურათებზე: კომპოზიტორი რ. გაბიჩვაძე; უკრავს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული ორკესტრი. მარჯვნივ — დირიჟორი შ. შილაკაძე.

ა. კაპკასაძის ფოტო.

კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძის შემოქმედებითი საღამო

შირი ქართული მუსიკის ტრადიციებთან. კომპოზიტორის ეზოვნების ეს თვისება ნათლად არის გამოვლენილი მის სიმფონიურ სონატა „გელათში“, როძელის შესრულებით დაიწყო რ. გაბიჩვაძის საავტორო კამერული კონცერტი, ამ დღეებში რომ გაიმართა კონსერვატორიის დარბაზში და მსმენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

სონატა „გელათი“ (ნახზალაკით) ოთხნაწილიანი ნაწარმოებია და ქართული კულტურის შესანიშნავ ძეგლს ეძღვნება. სონატის შექმნა შთაგონებულია კომპოზიტორის მოგზაურობით საქართველოში, მისი ბუნების განუმეორებელი მშვენიერების აღქმით. ნაწარმოები დიდი ალმაღლობით შესასრულა ნიჭიერმა პიანისტმა ნანა ხუციშვილმ.

ორი რომანსი (ა. პუშკინის ლექსებზე) „სარდაფი“ და „ეშმარიტება“ რ. გაბიჩვაძის სულ უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ვოკალური ციკლის შემადგენელი ნაწილებია. აქ ჟარობს რეზიტატიული აგებულების მელოდიები, რის შედეგად მუსიკას, ერთგვარად, დეკლამაციური ხასიათი ენიჭება. რომანსები შესასრულა ნიკოლოზ ნადირაძემ — ქართული ვოკალური მუსიკის ნიჭიერმა და დაფიქლავმა პროპაგანდისტმა.

ფართოდ არის ცნობილი რ. გაბიჩვაძის ბალეტი „ჰამლეტი“, რომელიც თავის დროზე თბილისში დადგა ვახტანგ ჭაბუკიანმა. ამ ნაწარმოებმა სცენური „ცხოვრება“ განაგრძო სხვა თეატრებშიც. მაგალითად, მისი უკანასკნელი დადგმა შარშან განხორციელდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ოხოტოკში. კონცერტზე ამიერკავკასიის კონკურსის ლაურეატმა ა. დეტხოლომა შეასრულა სამი ფრაგმენტი ბალეტიდან. უფრო მასშტაბურად და მრავალფეროვნად ეღერდა „ორამატული სცენები ბალეტ ჰამლეტიდან“, რომლის ტრანსკრიპცია ორი როიალისათვის იანა გაბიჩვაძეს ეკუთვნის. აქ შეძლებისდაგვარად შეინარჩუნებულია საორკესტრო ხმოვანების კოლორიტი და ამასთანავე გამოყენებულია სიტერესო, წმინდა საფორტეპიანო გამომსახველი ხერხები. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ჩვენთან იგრძნობა ინტერესის გაძლიერება კამერული მუსიკისადმი და, კერძოდ, საფორტეპიანო დუეტებისადმი. პიანისტებმა ი. გაბიჩვაძის და ი. ჯაიანაშვილის საფორტეპიანო დუეტის სახით ჩვენ გავიცანით მუსიკოსები, რომელთაც უკვე მონაცემი აქვთ, რომ ბომბალაში ასეთივე მონდომებით გაუწიონ პროპაგანდა ქართული მუსიკის საუკეთესო ნიმუშებს.

პროგრამის ძირითადი ნაწილი დაეთმო დიმიტრი მოსტაკოვიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილ რ. გაბიჩვაძის მეოთხე კამერული სიმფონიას. ნაწარმოები დაწერილია 1977 წელს. პირველად დიდი წარმატებით შესრულდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე. სიმფონიას არ გააჩნია პროგრამა ჩვეულებრივი გაგებით. მის შვიდ ნაწილს აკავშირებს საერთო იდეა, ანაცდა, რაც თავის ლოგიკურ დაგეგმვებულ ნაწარმოების ტოგიტულ კულმინაციაში პოულობს. სიმფონია ფორმის, მუსიკალური ენისა და გამომსახველი ხერხების მხრივ უაღრესად მთლიანი და ემოციურია. ავტორმა აქ მკაფიოდ გამოავლინა საორკესტრო ხმოვანების სიმდიდრე, დიდი ოსტატობა და დახვეწილი გემოვნება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მოკლე დროის განმავლობაში ამ ნაწარმოებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა და დიდი წარმატებით შესრულდა მოსკოვში, ხარკოვში, ოდესაში, ერევანში, ბალტიისპირეთისა და ციმბირის ქალაქებში. უნდა აღინიშნოს, რომ სიმფონიის წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ ნაწარმოების პირველ შემსრულებელს — საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერულ ორკესტრს (შავლეგ შილაკაძის ხელმძღვანელობით), რომლის მხატვრული და პროფესიული ოსტატობა დღითი დღე იხვეწება.

რევაზ გაბიჩვაძეს საავტორო კონცერტს დამსახურებული წარმატება ხვდა. კომპოზიტორი დიდ და მიზანდასახულ შემოქმედებით მუშაობას იწევს, რაც მისი ახალი შემოქმედებითი გამარჯვებების საწინდარია.

ოთარ გორდელი,

კომპოზიტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ძეგლი — ჰიდრომშენებელს

ჟუთაისი. რიონპეს ი.ს. საგენერატორო სადგურის შენახულელის წინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქვეყნის ელექტრიფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, ვოლხოვისა და რიონის ჰიდროელექტროსადგურების შენებლობით ყოფილი უფროსის ვ. გ. ჯიქიას ძეგლი.

გაიმართა ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი.

(საქინფორმი).

ორპირიდან ინგლისში

ტყიბული. (საკ. კორ.). რკინიგზის ორპირის სადგურში დაკმაყოფილდა და შორეულ გზას გაუდგა შვიდი ვაგონისაგან შემდგარი ეშელონი წარწერით: „ორპირი —ინგლისი“. მან საერთაშორისო ბაზარზე სარეალიზაციოდ წაიღო ორპირის ჩაის ფაბრიკის ნაწარმი — ცნობილი შავი ბაიხის ჩაის ახალი პარტია. წელს ინგლისში უკვე გაიგზავნა 140 ტონა პროდუქცია.

სეზონში კიდევ 120 ტონა შავი ბაიხის ჩაი გაიგზავნება.

გამოვიდა ახალი ნომერი

„საუნჯის“ ფურცლებზე

გამოვიდა მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახის „საუნჯის“ (მთავარი რედაქტორი — მ. ნიშნიანიძე) მეორე ნომერი. ალმანახს სცემს მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია.

პროზა წარმოდგენილია პოლონელი კენრიკ სენკევიჩის (თარგმნეს ს. რავიჩმა და თ. პატარაიამ), რუსების — ვიქტორ ასტაფიევის (თარგმნა გ. ხორნაულმა), ვ. შუქშინის (თარგმნა გ. ჭუმბურიძემ) მოთხრობებით, აქვე დაბეჭდილია ფრიდრიხ დიურენმატის კომედია — „ბერძენი ეძებს ბერძენს“ (გერმანულიდან თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა).

ალმანახის ფურცლებზე გაეცნობით ალექსანდრე ტვარდოვსკის პოემას — „ლენინის ხსოვნას“ (თარგმნელი ო. ჭელიძე), რუმინული პოეზიის ნიმუშებს (თარგმნელი ო. შალამბერიძე), ინგლისელი პოეტის სტეფენ კრეინის ლექსებს (თარგმნელი ი. ჩხეიძე).

რუბრიკით — „დოკუმენტური პროზა“ ალმანახი ბეჭდავს ლეონარდ მოსლის — „გზა პრაღისაკენ“ დასასრულს (თარგმნა ა. ჩიკვაიძემ), ხოლო რუბრიკით — „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ — ეან-ეაკ რუსოს — „ყიელი ანუ ახალი ელოიზას გაგრძელება (თარგმნა ნ. აგიაშვილმა).

კრიტიკის და პუბლიცისტიკის განყოფილებაში წაიკითხავთ ზურაბ კიკნაძის წერილს — „შენიშვნები ჰერმან ჰესეს ბრაშურაზე — „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“.

ორიგინალი

გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე

კიდევ ერთი ტენისის დამშვენება

მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების წინ

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი მძლეოსნობის დიდებული სარბიელი ახდა. მწვანე მინდვრის გარშემო სპორტანის საფეხლის დაგებისას: თო მძლეოსნური სეტყორების ეროწყობისას მოსკოველი და თბილისელი სპეციალისტები მუყაითად, განსაკუთრებული ხალისით მუშაობდნენ.

სარბენი ბილიკების სპორტანით დაგება ერთობ რთული საქმეა, — გვითხრა „დინამოს“ სტადიონის მთავარმა ინჟინერმა დავით ბანძავამ — საკავშირო სპორტმშენის ინსტიტუტის მთავარმა სპეციალისტმა ბორის ბელენკიმ ამ საქმეს წარმატებით გაართვა თავი, იგი ერთი წუთითაც არ სცილდებოდა მუშებს, უჩვენებდა, თუ როგორ სჯობს. როგორ უნდა გაკეთებულიყო ესა თუ ის მონაკვეთი.

თბილისური მზით გარუჯული ბორის ბელენკი გავიცანით. ვთხოვეთ აბრა გითოეთქვა ძმრიბლობის მიმდინარეობაზე: „სპორტანი საოცარის დაგება დავამთავრეთ. ახლა ჯერ მძლეოსნებზია მიხოია, რომ ამ ალგა საქმეში ჩემი წვლილიც არის...

ვინც კვირას ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ალეფრდარულ მაჩს დაესწრო, დარწმუნდებოდა, რა დიდი სამუშაოებია შესრულებული ჩვენი სტადიონზე. როგორ ალამაზებულა, რა დიდებული ბაზაზარი იგი სწორედ ამიტომ იყო, რომ მაღლიერი თბილისელები ტაშით აკილებდნენ ბოსკოველ სპეციალისტებსა და მუშებს, რომელთაც საპატიო წრე შემოუარეს თავიანთ ნახელავ ბილიკებზე. მოსკოველი მშენებლები საქართველოს სპორტკომიტეტმა საპატიო სიგელებით დაჯილდოვა.

ფეხბურთი

როცა ყველა იგრძვის...

„დინამო“ (თბილისი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი) — 3:1 (0:0)

თბილისი. 11 ივნისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი, 27 გრადუსი სითბო. 50.000 მაყურებელი.

მსაჯი: ვ. ბუტუნკო (მოსკოვი).

„დინამო“: ვოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩიკაია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გ. მაჩაიძე (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია (მინაშვილი).

„ზენიტი“: ოლეინიკი, დავიდოვი, ლობოვი, გოლუბევი (ცვეტენტიევი), კუზნეცოვი, კოშრეკი, იაკიმცოვი, ლაგოიდა, რედკოუსი, მელნიკოვი, ტამოფეევი.

გოლები — შენგელია (64-ე წუთზე), ქორიძე (75-ე), ჩელებაძე (78-ე), ტამოფეევი (84-ე).

პირველ ტაიმში მოპოვებული აშკარა უპირატესობის გამოყენება დინამოელებმა ვერ მოახერხეს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ლენინგრადელებმა ძირითადი აქცენტი დაცვით ფუნქციებზე გადიტანეს, ხოლო თბილისელების საიერიშო მოქმედებანი ერთობ დაბალ სისწრაფეზე ხორცელდებოდა. შესვენების შემდეგ ჩელებაძის გამოჩენამ, სისწრაფის შესამჩნევად მომატებამ და, რაც მთავარია, გოლის გატანისათვის ბრძოლაში სამი ფორვარდით თამაშმა სასურველი ნაყოფი გამოიღო. თითოეულ გოლს სხვადასხვა ავტორი ჰყავდა, ეს კოთუოდ სასიკეთოს მანიშნებელია, დამადასტურებელი იმ პეშმარიტებისა, რომ კარის აღებისათვის ყველა უნდა იბრძოდეს.

სხვა მატჩები

გთავაზობთ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურის კვირას გამართული მატჩების შედეგებს:

„ჩერნომორეცი“-„ტორპედო“ — 2:1.
„შახტიორი“-„ლოკომოტივი“ — 2:1.
„დნეპრი“-„ცსკა — 1:2.
„ზარია“-„კაირატი“ — 2:2.
„დინამო“(კ.)-„ნეფტჩი“ — 1:1.
„სპარტაკი“-„არარატი“ — 3:0.

გუშინ მოსკოვის „დინამოსა“ და „პახტაკორის“ მატჩით დამთავრდა მეთერთმეტე ტური. გიმარჯვა მოსკოვის „დინამომ“ ანგარიშით 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ივნისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (მბ.)	11	7	2	2	14-9	16
ცსკა	11	7	1	3	14-10	15
„ჩერნომორეცი“	11	5	4	2	13-8	14
„შახტიორი“	10	6	1	3	13-8	13
„დინამო“ (კ.)	11	4	5	2	13-7	13
„ტორპედო“	11	4	4	3	13-9	12
„დინამო“ (მ.)	10	4	4	2	10-7	12
„ზარია“	11	4	3	4	14-12	11
„კაირატი“	11	4	3	4	12-15	11
„ზენიტი“	11	3	5	3	11-14	11
„პახტაკორი“	11	4	2	5	17-14	10
„ლოკომოტივი“	11	2	5	4	10-13	9
„სპარტაკი“	11	3	2	6	11-16	8
„ნეფტჩი“	11	3	2	6	8-12	8
„არარატი“	11	3	1	7	5-16	7
„დნეპრი“	11	2	0	9	6-14	4

გამარჯვება ქუთაისში

გუშინ ქუთაისის „ტორპედომ“ მიიღო დუშანბეს „ამირი“. მატჩი წარიმართა მასპინძლთა უპირატესობით და მათ მეტად საპირო გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 2:1. გოლები გაიტანეს ბურკაძემ (35-ე წუთზე) და სულაქველიძემ (მე-60 წუთზე).

ქუთაისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: მეტიდლიძე, სვანაძე, სულაქველიძე, ოქროპირაშვილი (ა. კვერნაძე), მელიქია, ფარულავა (ავაჭანტირაძე), ხუციურაული, თეზაძე, შელია (ქვირია), ბურკაძე, ძებისაშვილი.



მსოფლიოს XI ჩემპიონატი ფეხბურთში

მატჩები და შედეგები

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ჯგუფებში გამართული უკანასკნელი მატჩების შედეგები ასეთია:

I ჯგუფი. იტალია-არგენტინა — 1:0, საფრანგეთი-უნგრეთი — 3:1;

II ჯგუფი. მექსიკა-პოლონეთი — 1:3, ტუნისი-გფრ — 0:0;

III ჯგუფი. ბრაზილია-ავსტრია — 1:0, ესპანეთი-შვეიცარია — 1:0;

IV ჯგუფი. პერუ-ირანი — 4:1, შოტლანდია-ჰოლანდია — 3:2.

ამრიგად, ჯგუფებში, ასპარეზობა დასრულდა, გამოვლინდა მეორე ფინალური წრის რვავე მონაწილე. ახლა კი გადავხედოთ ჯგუფებში გათამაშებათა საბოლოო ცხრილებს:

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იტალია	3	3	0	0	6-2	6
არგენტინა	3	2	0	1	4-3	4
საფრანგეთი	3	1	0	2	5-5	2
უნგრეთი	3	0	0	3	3-8	0

II ჯგუფი

პოლონეთი	3	2	1	0	4-1	5
გფრ	3	1	2	0	6-0	4
ტუნისი	3	1	1	1	3-2	3
მექსიკა	3	0	0	3	2-12	0

III ჯგუფი

ავსტრია	3	2	0	1	3-2	4
ბრაზილია	3	1	2	0	2-1	4
ესპანეთი	3	1	1	1	2-2	3
შვეიცარია	3	0	1	2	1-3	1

IV ჯგუფი

პერუ	3	2	1	0	7-2	5
ჰოლანდია	3	1	1	1	5-3	3
შოტლანდია	3	1	1	1	5-6	3
ირანი	3	0	1	2	2-8	1

ხელბურთი

სსრ კავშირის თასზე

თბილისის სპორტის სახახლეში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების სსრ კავშირის თასის გათამაშების მესამე ეტაპის მატჩები. ტურნირში მონაწილეობს ოთხი გუნდი, რომელთაგან ორი საუკეთესო მეოთხე ეტაპის შეხვედრებში ასპარეზობის უფლებას მიიღებს. თბილისის „ბურევესტნიკმა“ ვერას დაამარცხა მინსკის ამბიციული კოლექტივი ანგარიშით 28:23, გუშინ კი — გროზნოს „პროგრესი“ — 28:24. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: ცსკა-„პროგრესი“ — 36:32, ცსკა-ასკ (მინსკი) — 26:27.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი, გაერთიანებული პროფკომი, ისტორიის ფაკულტეტის დეკანატი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანატი, კინემატოგრაფიტმცოდნეობის კავშირი. გამომცემლობა „ხელოვნება“, კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 67 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ხელოვნებათმცოდნე, დოცენტი

ბორის ილიდორეს ძე ხარატიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ДОЛГОЖИТЕЛЬ ПОБЕДЫ

ოპერატიული ჯგუფი ჯადო ვაულისა...

ოპერატიული ჯგუფი — საქართველოს სსრ "ნინგაგან საქმეთა სამინისტროს ავტოინსპექციის თანამშრომლები: მილიციის პოდპოლკოვნიკი გ. სულუხია, მილიციის კაპიტანი რ. მირონაძე, თბილისის საქარხნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სოციალისტური საკუთრებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ა. ლობჟანიძე და ამავე რაიონის არასაწყობო დაცვის უფროსის მოადგილე მილიციის უფროსი ლეიტენანტი დ. ჯანჯღავა დავალების შესასრულებლად მიდიოდნენ. მათ ტრიალ მინდორში თვალი მოჰკრეს ორ უზარმაზარ სატვირთო მანქანას. მილიციის მუშაკები უკაცრიელ ადგილას ავტომანქანების ყოფნამ დაიეჭვა, ავტომობილებთან მივიდნენ, მაგრამ იქ არავინ დახვდათ, მანქანებს მხოლოდ ჭლიმბები ედო...

ოპერატიული ჯგუფის წევრებმა ახლო-მახლო მიდამოების დათვალიერება დაიწყეს. ორიოდე კილომეტრის მოშორებით კვლავ ავტომანქანა შენიშნეს, რომელთანაც რამდენიმე კაცი ფუსფუსებდა, და ჯგუფიც იქითკენ გაეშართა. ავტომობილს ძრავა გაფუჭებოდა, მანქანის კაპოტი აეხადათ და სასწრაფოდ მის შეკეთებას ცდილობდნენ.

მანქანის მძღოლმა ლევან კარაპეტის ძე გოგორიანმა მილიციის მუშაკებს უთხრა: შვიდი ტონა ოლიფა მიმაქვს ბაშკირეთის ავტომობილური რესპუბლიკის ქალაქ ბირსკშიო, თან ყველა საჭირო საბუთი წარუდგენი. მაგრამ... საბუთებიდან ირკვეოდა, რომ ქარხნიდან ოლიფა ხუთი დღის მილებული ჰქონდა და მანქანა ახლა უკვე ბაშკირეთში უნდა ყოფილიყო. მილიციის მუშაკები ამან დაეეჭვა, მძღოლს დალუქულ-დაეტლი მანქანის ძარა გაახსნევინეს. ძარის უკანა მხარეს მართლაც ოლიფიანი კასრები ეწყო, იქით კი 292 ყუთი ვაშლი, რომელიც 8083 კილოგრამს იწონიდა.

ახლა უკვე ეჭვს არც ის ორი მიტოვებული ავტომანქანა იწვევდა. სამივე მანქანა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ვაჭრობტრანსს“ ეკუთვნის. შეატყობინეს გაერთიანების ხელმძღვანელობას და როცა მძღოლებმა შეიტყვეს, რომ საქმეს არაფერი ეშველებოდა, მაშინ საიდანღაც გამოჩნდნენ იმ ორი მიტოვებული ტრალერის მძღოლ-ექსპედიტორები მამა-შვილი მიხეილ და სერგო შამოევები. მამა-შვილს მანქანები 14 ტონა ოლიფით და 336 ყუთი — 9073 კილოგრამი ვაშლით დაეტვირთათ და ქალაქ კუიბიშევში უნდა ჩაეტანათ.

გაქცილმა მძღოლებმა, როგორც იტყვიან, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: არ ვიცით ვისი ვაშლია, უცხო ხალხი შეგეხვედა, სამ-სამი ყუთი ვაშლი გვაჩუქეს და, წაღებაზე ჩვენც დავყაბულდითო.

როცა ვაშლს ლიღლის ხიდბოსტნეულის ბაზაში აბარებდნენ, მძღოლმა მიხეილ შამოევმა თავი გაიქნია და ნაღვლიანად თქვა:

— რა ვაშლი ყოფილა, რამდენჯერ ვცადეთ რუსეთში გატანა, მაგრამ ჯადო აქვს თუ რა...

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ვაჭრობტრანსის“ ხელმძღვანელობას ბრძანება აქვს გაცემული, რომ მათი საწარმოს ავტოტრანსპორტი, რომელსაც ტვირთი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიაქვს, ავტოსაწარმოს წარმომადგენელმა რესპუბლიკის საზღვრამდე უნდა მიაცილოს. ეს ასეც მოხდა. მაგრამ მათი მანქანები კვლავ საქართველოში დაბრუნდნენ, ეიღაცას უხლავი ხელი სპეკულანტებსა და ალოფი-ოღლი ბრძანებლებს.

ამ დღეებში ავტოინსპექციის მუშაკებმა დააკავეს ავტომანქანები, რომლებიც ცდილობდნენ საოფლო-სამეურნეო პროდუქტები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაეტანათ. მარნეულია რაიონის სოფელ ულაშლოს საშუალო სკოლის მასწავლებელს (?!) სახბადინ სადიხ-ოღლი ბაბაჯანოვს თანამოფლელს ფ. ს. აბაოლოვს „ეიგულენი“ 150 კილოგრამი პამიდორი ჩაეწყო, ყანაღნელ მუსა ტოიდაოღლი ბაბაკიშიევს კი პამიდორით „მოსკვიჩი“ ევსო, მარნეულელ შაქირ ქამალ-ოღლი გუსეინოვს აივაზ ბაირამ-ოღლი მეხტიევის „მოსკვიჩი“ ახალი კარტოფილით გაეტეხა; გარდაბნის რაიონის სოფელ კარაჯალში მცხოვრებ მაკპეფ აბას-ოღლი ჰუსეინოვს, ამავე რაიონის სოფელ ვოეკის მკვიდრს ლევან სარქისის ძე ამირჯანოვს, კასპის რაიონის სოფელ ალიანში მცხოვრებ არჩილ ალექსანდრეს ძე ხოდელს მახარაკოლის ავტობუსი დაეჭირავებინათ, შიგ პირთამდე მარწყვით სავსე კალათები ჩაეწყოთ და სასპეკულაციოდ ახალციხე, შალვა ივანეს ძე მამაგულაშვილი და გრიგოლ სამსონის ძე მამაგულაშვილი.

ეს ხალხი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა სიკეთით სარგებლობს. მათ სოფლიდან ყველაფერი უნდათ მიიღონ, მაგრამ თვითონ სამაგიეროზე არ ფიქრობენ. წლეულს ჭირვეული გაზაფხული იყო. ასევე ჭირვეული ალა. ზაფხულიც, სოფელში სამუშაოს ვერ აუდიან, გამრჯე კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები დღე და ღამ მიხდერებში, ბაღებში, ვენახებში, ყანებში ტრიალებენ, რათა უამინდობამ მოსავალზე არ იმოქმედოს. და ასეთ ცხარე დღეებში ამ ეიებატონებმა სოფელს ზურგი შეაქციეს და სასპეკულაციოდ გაემართნენ.

ამ დღეებში ავტოინსპექციის მუშაკებმა დააკავეს ავტომანქანები, რომლებიც ცდილობდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაეტანათ. მარნეულია რაიონის სოფელ ულაშლოს საშუალო სკოლის მასწავლებელს (?!) სახბადინ სადიხ-ოღლი ბაბაჯანოვს თანამოფლელს ფ. ს. აბაოლოვს „ეიგულენი“ 150 კილოგრამი პამიდორი ჩაეწყო, ყანაღნელ მუსა ტოიდაოღლი ბაბაკიშიევს კი პამიდორით „მოსკვიჩი“ ევსო, მარნეულელ შაქირ ქამალ-ოღლი გუსეინოვს აივაზ ბაირამ-ოღლი მეხტიევის „მოსკვიჩი“ ახალი კარტოფილით გაეტეხა; გარდაბნის რაიონის სოფელ კარაჯალში მცხოვრებ მაკპეფ აბას-ოღლი ჰუსეინოვს, ამავე რაიონის სოფელ ვოეკის მკვიდრს ლევან სარქისის ძე ამირჯანოვს, კასპის რაიონის სოფელ ალიანში მცხოვრებ არჩილ ალექსანდრეს ძე ხოდელს მახარაკოლის ავტობუსი დაეჭირავებინათ, შიგ პირთამდე მარწყვით სავსე კალათები ჩაეწყოთ და სასპეკულაციოდ რუსეთის გზას დასდგომოდნენ.

რესპუბლიკის სახელმწიფო ავტონსპექციის ხელმძღვანელობამ და მცხეთის მოტომექანიზებული ქვედანაყოფის მუშაკებმა რიდის დროს დააკავეს ექვსი ტონა ვაშლით დატვირთული ერეკვნის № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს სატვირთო ავტომობილი. შოფრის გვერდით კაბინაში მოკალთაბულიყო გორის რაიონის სოფელ ხელოთუბნის კოლმეურნეობის წევრი მიხეილ გიორგის ძე ანანიაშვილი, ხოლო ვაშლის სხვა მფლობელები, მისი თანამოფლეები ლაფო მიხეილის ძე ჩალაბაშელი და დარჩო გიორგის ძე ანანიაშვილი ერეკვნით მსუბუქი ავტომობილით უნდა ჩასულიყვნენ. ეს კი სამივენი ბაზარში ვაშლით ვაჭრობას გააჩაღებდნენ.

რუსეთის ქალაქების სამი სატვირთო ავტომანქანა დაექირავებინათ ბოლნისის რაიონის სოფელ არახლოს მცხოვრებლებს ბაგა ალიფა-ოღლი ობრაგიმოვს, ნაჯაგ მამედ-ოღლი ალიევს, სოფელ შამილ-ოღლი მუსტაფეევს, იმდაგ ამირასლან-ოღლი ამირახოვს, საადრეო კარტოფილით დაეტვირთათ და საწყობლოდ შორეულ ბაზრებში მიეიოდნენ.

როგორც ხედავთ, ოღლი გამდიდრებულ მოყვარულნი ძველი გზით სიარულს თავს არ ანებებენ. ამიტომ საჭიროა გორის, ქარელის, მარნეულის, ბოლნისის, კასპის, გარდაბნის რაისაბჭოების აღმასკომებმა და პარტიულმა კომიტეტებმა, შინაგან საქმეთა ორგანოებმა, სოფლის აქტივმა უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინონ, რათა გზა გადაუღობონ სპეკულანტებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ღირსებას, პატიოსნებას, სახელს ლახავენ შორეულ ბაზრებში წასწყლით.

ბ. ბახტურიძე.